



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 30

ქ. გარდაბანი

28/02/2022

30-06-4-202202281548



**ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ
სართიჭალაში მცხოვრები თეიმურაზი მეტრეველისთვის დახმარების გაწევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 24 თებერვლის N18-182205566 შუამდგომლობის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 12 650 (თორმეტი ათას ექვსასორმოცდაათი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში მცხოვრები თეიმურაზი მეტრეველისთვის (პ/ნ _____), (დიაგნოზი: _____), სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა გაცეს საგარანტიო წერილი და უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხის გადარიცხვა მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ქალაქ თბილისში პ. ქავთარაძის ქ. N23-ში მდებარე, შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრის“ ანგარიშზე.

ს/კოდი 404925747

ანგარიშის N:

ბანკი: საქართველოს ბანკი, კოდი: BAGAGE22

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

